



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №34/2

2019 წლის 30 აპრილი

ქ. თბილისი

სს „სვანეთი ჰიდროზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 27 მარტის № 23/20 გადაწყვეტილებით გაცემულ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, 24-ე, 25-ე და 26-ე მუხლების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-13 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე, მე-100, 103-ე, 115-ე, 116-ე, 118-ე და 177-ე მუხლების თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. სს „სვანეთი ჰიდროზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 27 მარტის № 23/20 გადაწყვეტილებით გაცემულ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
2. სს „სვანეთი ჰიდროზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 27 მარტის № 23/20 გადაწყვეტილებით გაცემულ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა გაგრძელდეს ერთი თვით.
3. სს „სვანეთი ჰიდროზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 27 მარტის № 23/20 გადაწყვეტილებით გაცემულ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 21 მაისი, 14:00 საათი.
4. სს „სვანეთი ჰიდროზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 27 მარტის № 23/20

გადაწყვეტილებით გაცემულ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 28 მაისი.

5. დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს (ნ. ასათიანი) და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს (ნ. ლაშხია), უზრუნველყონ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცნობის კომისიის ვებ-გვერდზე განთავსება.
6. დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს (ნ. ასათიანი), უზრუნველყოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი ინფორმაციის დაინტერესებულ პირებისათვის ხელმისაწვდომობა.
7. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
8. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს (ე. ლაგვილავა).
9. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ გასაჩივრდება.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

დავით ნარმანია

კომისიის წევრი

